საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 896/01
02/02/2022

896-01-2-202202021406

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას"

მის: ჭავჭავაძის გამზირი №34, სართ. 6

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 იანვრის №229 განცხადება, რომელიც ეხება ქ. მარტვილში, რუსთაველის ქუჩაზე არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია 4 რეზერვუარი, რომელთაგან 2 ერთეული (№1 - 15 მ^3; №2 - 10 მ^3) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო 2 ერთეული (№3 - 10 მ^3 და №4 - 4,7) - დიზელის საწვავისთვის. ამასთან, დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება დამატებით ერთი რეზერვუარის განთავსება, რის შემდეგაც ობიექტზე იფუნქციონირებს 5 რეზერვუარი, (4.48 მ^3; 8.37 მ^3; 9.5 მ^3; 9.5 მ^3 და 15.227 მ^3), რომელთა ჯამური მოცულობა იქნება 46,9 მ^3. აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარების შესახებ წარმოდგენილ მონაცემებსა და ასევე საპროექტო რეზერვუარების მოცულობათა ჯამს (47,077 მ^3), შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს არსებული და საპროექტო რეზერვუარების მოცულობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044